ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი N6

დაბა ქედა, 24 ნოემბერი, 2022 წელი

სხდომა დაიწყო 16:00 საათზე.
სხდომა დამთავრდა 16:50 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან წულუკიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რეზო თურმანიძე - კომისიის წევრი;
ამირან ცინცაძე- კომისიის წევრი;
ლევან ბერიძე - კომისიის წევრი;
ოთარ ხარაძე - კომისიის წევრი;
ირაკლი მახარაძე - კომისიის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა:
რომან დავითაძე - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდა:
ნონა ბერიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში;
ლაშა ბერიძე - საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
დავით სირაბიძე - საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარე;
ჯემალ ტაკიძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრთა
სარეგისტრაციო ფურცელი

24.11.2022 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	რეზო თურმანიძე	კომისიის წევრი	
3	ამირან ცინცაძე	კომისიის წევრი	
4	რომან დავითაძე	კომისიის წევრი	
5	ლევან ბერიძე	კომისიის წევრი	
6	ოთარ ხარაძე	კომისიის წევრი	
7	ირაკლი მახარაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან წულუკიძემ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინასო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

1.„ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტის განხილვა.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, ჯემალ ტაკიძემ კომისიის წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი (წერილის ნომერი: 12-95223193-95, 15.11.2022 წელი) და აქვე განმარტა, რომ ბიუჯეტში დაახლოებით ერთი მილიონი ლარის თავისუფალი რესურსი იყო ნაშთის სახით, რომელიც დაზუსტდებოდა და შესაძლებელი იყო ეს თანხა მოხმარებოდა საკრებულოს მიერ წარმოდგენილ შენიშვნებსა და გარდამავალ პროექტებს. ჯემალ ტაკიძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის შემოსავლის ძირითად წყაროს დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ) და ქონების გადასახადი წარმოადგენდა. ასევე ისაუბრა მედიკამენტურ პროგრამაზე, რომელიც წინა წელს 300 000 ლარით იყო განსაზღვრული 2023 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში კი 350 000 ლარით იყო განსაზღვრული, თუმცა აქ შესაძლებელი იყო ცვლილებაც განხორციელდეს ბენეფიციართა ზრდის გამო შესაძლებელი იყო თანხის კიდევ დამატება.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი მახარაძემ კითხვა დასვა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ ესწრებოდნენ კომისიის სხდომას მუნიციპალიტეტის ორგანიზაციების (შპს-ების, ა(ა)იპ-ების) ხელმძღვანელები, საკრებულოს მიერ არ მოხდა მათი მოწვევა თუ მოწვეული იყვნენ და ისინი არ დაესწრნენ? კომისიის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძე აღნიშნავდა, რომ 22 ნოემბერს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომაზე მის მიერ დაფიქსირებულ იქნა აზრი კომისიის სხდომაზე შპს-ებისა და ა(ა)იპ-ების დირექტორების მოწვევასთან დაკავშირებით.

კომისიის სხდომაზე დაფიქსირდა აზრი და საბოლოოდ კომისიის წევრები შეთანხმდნენ, რომ 10 დეკემბრამდე რომელიმე მათ მიერ წინასწარ განსაზღვრულ დღეს ჩატარებულიყო ბიუჯეტის პროექტზე განხილვა, სადაც დაესწრებოდნენ მერიის სამსახურის უფროსები, მუნიციპალიტეტის შპს-ებისა და ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელები და მოხდებოდა სიღრმისეულად/ჩაშლილად განხილულიყო ბიუჯეტის პროექტი, სადაც თითოეული საკრებულოს წევრი შეძლებდა კითხვები დაესვათ და მიეღოთ პასუხები უშუალოდ მუნიციპალიტეტის ორგანიზაციებიდან.

კომისიის წევრმა ირაკლი მახარაძემ დასვა კითხვა, რამდენ პროცენტიანი ხელფასების მატება იგეგმებოდა მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებში პირველი იანვრიდან?

ჯემალ ტაკიძის თქმით დაახლოებით 40%-70%-ით იგეგმებოდა ხელფასების ზრდა ა(ა)იპ-ებში.

ირაკლი მახარაძემ აქვე იკითხა, თუ რატომ არ ემატებოდათ მეტი პროცენტობით შპს ,,წყალკანალს“ და ,,კომუნალურსერვისს“?

ამასთან დაკავშირებით ჯემალ ტაკიძემ განმარტა, რომ აღნიშნულ შპს-ებს ა(ა)იპ-ებთან შედარებით ნორმალური ხელფასი ჰქონდათ და ამასთანავე ისინი ხელფასს მთელი წლის განმავლობაში საშემოსავლოს დაქვითვის გარეშე იღებდნენ.

კომისიის სხდომაზე დამსწრე ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელ ჯემალ ტაკიძეს ბიუჯეტის ასიგნებებში ის ვერ პოულობდა ჩამონათვალს, მაგალითად შპს ,,ბეთლემი"-ს, ,,ავტო სატრანსპორტო საწარმო"-ს მონაცემებს: რამდენი დასაქმებული ჰყავდათ, რაში იხარჯებოდა თანხა და ა.შ..

ჯემალ ტაკიძემ აღნიშნულ კითხვასთან დაკავშირებით უპასუხა, რომ ,,ავტო სატრანსპორტო საწარმო"-ს მუნიციპალიტეტის მერია საერთოდ არ აძლევდა სუბსიდიას და ის მხოლოდ პროგრამას ემსახურებოდა, დანარჩენი საკუთარი შემოსავლები ჰქონდა აღნიშნულ შპს-ეს. რაც შეეხებოდა, შპს ,,ბეთლემს", ,,ბეთლემი"-ც თანხას ღებულობდა ფონდიდან და ღებულობდა პროგრამით.

ირაკლი მახრაძემ კითხვა დასვა 2021-22 წლებში 100-ზე მეტით შტატგარეშე თანამშრომელი დაემატა, მაგრამ რა ეფექტი ჰქონდა მუნიციპალიტეტს ამ ხელშეკრულებით დასაქმებულებით არ ჩანდა.

ჯემალ ტაკიძე აღნიშნულ საკითხზე განმარტავდა, რომ ამ საკითხს ახლა აუდიტიც სწავლობდა და შეიძლება კრიტიკული შეფასებაც გააკეთონ, თუმცა ის ვერ იტყოდა, რომ ეს კანონით არასწორი იყო. მუნიციპალიტეტის მერიას საკრებულომ მისცა თანხმობა შტატგარეშე თანამშრომლის ყოლის. კანონთან მიმართებაში ეს ყველაფერი ლეგიტიმურად იქნა გაკეთებული, მაგრამ რამდენად ეფექტური გამოდგა ეს სხვა საკითხია და ეს მათი ანუ საკრებულოს შესაფასებელი იყო.

კომისიის სხდომის თავმჯდომარე ამირან წულუკიძემ სხდომაზე დამსწრეთ განუმარტა, რომ 2023 წლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით მის კომისიაში წარდგენილი იყო წინადადებები და შენიშვნები საკრებულოს კომისიებისა და ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-სი. აქედან გამომდინარე, 25 ნოემბერს ქედის მუნიციპალიტეტის მერიას 15 ნოემბერს შემოსული ბიუჯეტის პროექტი უნდა დაუბრუნდეს ამ შენიშვნებით.

სხდომის თავმჯდომარემ შენიშვნების გათვალისწინებით ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დაბრუნების საკითხი კენჭისყრაზე დააყენა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა;

1. ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილების 93-ე მუხლის მე-6 პუნქტეის შესაბამისად, მიზანშეწონილია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენიშვნები ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით წარედგინოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

2. ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილების 93-ე მუხლის მე-7 პუნქტების შესაბამისად, არაუგვიანეს მიმდინარე წლის 10 დეკემბრისა, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი იქნას 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი იმავე ან შესწორებული ვარიანტით, შენიშვნებზე დასკვნასთან ერთად.

კომისიის თავმჯდომარემ 16:50 საათზე კომისიის სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **ამირან წულუკიძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწაროებისა და საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში **ნონა ბერიძე**